# ახალი ხარაგაული

№450 (6) 10 მაისი, 2022 წ.


## ხარაგაულში ფაშიზმზე გამარჯვების დღე აღინიშნა



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა, კობა ლურსმანაშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა, ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავთან დაკავშირებით, შინმოუსვლელთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და ომში დაღუპულთა გმირებს პატივი მიაგეს.

ამავე დღეს, მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს, იური ბუაჩიძეს სახლში ეწვია და დიდ სამამულო ომში გამარჯვება მიულოცა. ბ-ნ იური სოფელ ფარცხნალში ცხოვრობს და იგი 96 წლისაა.

შეგახსენებთ, რომ 77 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ისტორიას ჩაბარდა თავისი შედეგებითა და მასშტაბებით ყველაზე სასტიკი ომი... ომი, რომელიც 1418 დღე გრძელდებოდა და 50 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

უნდა აღინიშნოს, რომ ხარაგაულიდან ფრონტზე 5706 კაცი გაიწვიეს, მათგან 2704-მა შინ დაბრუნება ვეღარ შეძლო, 798 - გმირული ბრძოლისათვის დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, ექვს მეომარს კი საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ამჟამად, ხარაგაულში ერთი ომის ვეტერანია, რომელსაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფულადი დახმარება გაეწია. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, მეორე მსოფლიო ომში მონაწილეები ერთჯერადად -1000 ლარს მიიღებენ, დაღუპულთა ოჯახები კი-500 ლარს.



დღეისათვის, საქართველოში მეორე მსოფლიო ომის 172 ვეტერანი ცხოვრობს.

ეკა შავიძე

## ხელოვანები ხარაგაულისათვის, ანუ ფერთა უსასრულო გამა...

უფრო და უფრო მრავალპლანიანი და ხელოვნების სხვა მიმართულებათა მომცველი ხდება ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის პროექტი „გამა" (ავტორი თეატრის ხელმძღვანელი ქალბატონი იზა ვეფხვაძე).

ჩვენი მიწის მკვიდრის, ოპერის ვარსკვლავის, ბატონ მამუკა ლომიძის, გულისხმიერებით, გაფართოვდა „გამას" შინაარსი და ის გახდა სამხატვრო-მუსიკალური. ამ კუთხით ხარაგაულს სტუმრობდნენ ოპერის სოლისტები, საოპერო მომღერლები. წელს პროექტში პირველად მონაწილეობდნენ ფოტოხელოვანები ნინო ჯაჯანიძე და ბაბუა ალუდაური, რომლებმაც საკუთარი ხედვითა და შესატყვისი გემოვნებით ფოტოობიექტივზე აღბეჭდეს ხარაგაულის საოცარი პეიზაჟები და პლენერის ამსახველი ფოტოკადრები.

უკვე შვიდი წელია, საქველმოქმედო მიზნით, ხარაგაულს სტუმრობენ პროექტში მონაწილეობის მისაღებად მხატვრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. „გამა 7-ს" 26 ცნობილი მხატვარი ეწვია, 15 ფერმწერი კი დისტანციურად ჩაერთო: ამერიკიდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, სომხეთიდან...



„ბუნება-მბრძანებელია"-გვაფრთხილებს ბუნების დიდი მესაიდუმლე ვაჟა-ფშაველა. ამჯერად „გამა 2022-ის" დახურვის ცერემონიალში გარკვეული „კორექტირება" შეიტანა პროგნოზით ნავარაუდევმა წვიმამ. აქვე კვლავ შეგახსენებთ, რომ „პლენერი" ფრანგული სიტყვაა და სუფთა ჰაერს ნიშნავს. ფერწერაში იგი აღნიშნავს ბუნებრივი განათების, ჰაერის გარემოს გადმოცემას ნახატში.

დაგეგმილი იყო, რომ „გამა-7-ს" საკუთარი შემოთავაზებით უმასპინძლებდა ცნობილი ქველმოქმედი, ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის დიდი მეგობარი ბატონი ბახვა სამხარაძე მშრომელი მარჯვენითა და უფლის შემწეობით შექმნილ „ამქვეყნიურ სამოთხეში", სოფელ სამებაში (განთიადი). ბატონი ბახვა არაერთხელ ყოფილა ჩვენი ლიტერატურული თეატრის ღონისძიებათა მასპინძელი.

ამინდის პროგნოზის მიზეზით გადაწყდა, რომ ღია სივრცის მაგიერ სამხატვრო-მუსიკალური პლენერი დახურულ სივრცეში გამართულიყო ხარაგაულის კინოთეატრში. პირველ მაისს პლენერის დახურვის საღამო იყო ძალზე წარმატებული და სასიამოვნო განწყობის შემქმნელი სტუმრისა და მასპინძლისათვის. ყოველივე ეს განსაზღვრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ კობა ლურსმანაშვილის, საკრებულოს თავმჯდომარის, ქალბატონი მანანა ბარბაქაძის, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს, ლიტერატურული თეატრის მონოლითური კოლექტივის, ა(ა) იპ-ების, საკრებულოს დეპუტატების, სამსახურის ხელმძღვანელების, ქველმოქმედი ადამიანებისა და რიგითი ხარაგაულელების ზრუნვა-თანადგომამ, ერთიანობამ, რომ მაღალ დონეზე წარმოჩენილიყო ყველა ის ღირსება, რაც საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს-იმერეთს-და მის მცხოვრებთ აქვთ შესისხლხორცებული...

საღამოს ესწრებოდნენ სტუმრები ისრაელიდან: ცნობილი ქართველი ებრაელი, საქართველოსა და ხარაგაულელთა დიდი მეგობარი, საპატიო ხარაგაულელი ბატონი პაატა იოსებაშვილი, მისი მეუღლე ქალბატონი ლოლა იოსებაშვილი, პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალბატონი იზოლდა მოშიაშვილი.

ფრიად ამაღლებული იყო ის წუთები, როცა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა კობა ლურსმანაშვილმა საპატიო ხარაგაულელის წოდება მიულოცა და დიპლომები და მედლები გადასცა პაატა იოსებაშვილსა და ოპერის ვარსკვლავს მამუკა ლომიძეს. (შეგახსენებთ, რომ 2022 წლის 8 იანვარს საპატიო ხარაგაულელის წოდების მინიჭების ცერემონიალზე მათ დასწრება ვერ შეძლეს).

გაგრძელება ▶ 2 გვ.

## ხარაგაულში „დევების" ქანდაკებისა და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია იწყება



სულ მალე ხარაგაულში, ე.წ. „დევების" ტერიტორიაზე, ახალი რეკრეაციული ზონა შეიქმნება და, ტურისტული თვალსაზრისით, ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი გახდება.

აღნიშნული სამუშაოების განხორციელების მიზნით გამოცხადებული ტენდერი დასრულდა და შპს „დანი ქონსთრაქშენთან" გაფორმებულ ხელშეკრულებას მერმა, კობა ლურსმანაშვილმა, ხელი მოაწერა.

როგორც კობა ლურმანაშვილმა აღნიშნა, კომპანია სამუშაოებს უახლოეს დღეებში დაიწყებს და სახელშეკრულებო ვადებით აგვისტოს თვეში დაასრულებს. მისივე ინფორმაციით, პროექტის განსახორციელებლად 264 999 ლარი დაიხარჯება.

-„დევები" ხარაგაულისთვის სავიზიტო ბარათი და ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადგილია. ეს არის ადგილი, რომელიც, წარსულიდან მოყოლებული, ახსოვს ყველა სტუმარს და ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ ტერიტორიის მოწესრიგება, რადგან აქედან იწყება განწყობა ხარაგაულზე. რამდენჯერმე მოხდა „დევების" რეაბილიტაცია, მაგრამ ასეთი სახის კომპლექსური სამუშაოები არასდროს ჩატარებულა",-აცხადებს კობა ლურსმანაშვილი.

აქვე მოგახსენებთ, რომ საპროექტო დოკუმენტაცია ითვალისწინებს ახალი ლამპიონების, საპარკინგე ადგილის, ხელნაკეთობებისათვის სავაჭრო სივრცის, საინფორმაციო დაფისა და სკვერის შიდა სივრცის კეთილმოწყობას.

გარდა ამისა, მოპირკეთდება „დევების" გამოსახულება და მოექცევა დამცავ გარსში, სკვერის ტერიტორიაზე მოეწყობა ლანდშაფტური გარე სანათები და დამონტაჟდება ვიდეო სათვალთვალო კამერები. ასევე მოხდება სკვერის გამწვანება ბუნებრივი კორდით და ტერიტორიაზე დაირგვება დეკორატიული ნაძვის ხეები.

შეგახსენებთ, რომ დაბა ხარაგაულში „დევების" ქანდაკებებისა და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა.

ეკა შავიძე

## დეპუტატებმა ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს

საკრებულოს სხდომაზე მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, დეპუტატებს სამი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში წარუდგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, 2022 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 2997,4 ათასი ლარით, ხოლო ფაქტობრივად მიღებულია 2 503,8 ათასი ლარი და გეგმა შესრულებულია 83,5%-ით.

რაც შეეხება გადასახადებს, დაგეგმილი 1 825,5 ათასი ლარიდან მიღებულია 1 818,4 ათასი ლარი, მათ შორის, ქონების გადასახადი 50,0 ათასი ლარის ნაცვლად 165,3 ათასი ლარი, დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი 1 775,5 ათასი ლარის ნაცვლად 1 653,1 ათასი ლარი, გადასახადების კვარტლის გეგმა შესრულებულია 99,6 %-ით.



მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები დაგეგმილი 340,3 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 243,2 ათასი ლარით;

მერიის ხარჯები დაგეგმილი 843,2 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 679,5 ათასი ლარით;

რაც შეეხება ა(ა) იპ-ების დაფინანსებას, პირველ კვარტალში დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებამ 396,6 ათასი ლარი მიიღო;

ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებამ-381,4 ათასი ლარი;

ბორის სკოლა-პანსიონმა-22,8 ათასი ლარი;

მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლმა-32,3 ათასი ლარი;

სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრმა-108,3 ათასი ლარი;

სამუსიკო სკოლამ-39,1 ათასი ლარი;

კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა-185,8 ათასი ლარი;

მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურმა ცენტრმა-19,2 ათასი ლარი;

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა-49,0 ათასი ლარი;

სათნოების სახლმა-45,7 ათასი ლარი.

სხდომას ესწრებოდა მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, რომელმაც 2022 წლის პირველ კვარტალში გაწეული ხარჯების შესახებ გარკვეული განმარტებები გააკეთა და ისაუბრა ბიუჯეტის შესრულების პარამეტრებსა და იმ მნიშვნელოვან პროგრამებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა.

„მინდა, ხაზგასმით განვმარტო, რომ ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულება დამაკმაყოფილებელია და მაქსიმალურად მოხდა იმ საკითხების გათვალისწინება, რომლებიც მოსახლეობისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა. აღნიშნულ პერიოდში 3 167.0 ათასი ლარის ხარჯი დაფინანსდა და აქედან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაწეულია 342,8 ათასი ლარი. მისასალმებელია, რომ ყველა ძირითად მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტზე დასრულებულია ტენდერები, ხელშეკრულებები გაფორმებულია და დაწყებულია აქტიური სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიუხედავად რთული მეტეოროლოგიური პირობებისა, გზების კაპიტალურ მშენებლობაზე ამჯერად დახარჯულია 171,2 ათასი ლარი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მხრივ, საქართველოს მასშტაბით, ხარაგაული ერთ-ერთი მოწინავე მუნიციპალიტეტია. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მოსახლეობის საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის მიზნით, მერიამ შეიმუშავა ახალი სამოქმედო გეგმა და შევძელით ახალი ხაზების დამატება. მუნიციპალური ტრანსპორტი

გაგრძელება ▶ 2 გვ.

# ხელოვანები ხარაგაულისათვის, ანუ ფერთა უსასრულო ბაღი...

დასაწყისი ▶ 1 გვ.

ამ ღირსსამახსოვრო ფაქტით გამოწვეული მაყურებელთა ემოცია ზენიტში აიყვანა შვიდი წლის სოლისტმა ანა ჭუმბურიძემ, რომელმაც ებრაულ ენაზე შეასრულა სიმღერა „იერუსალიმი“.

განუზომელია ბერ პეტრე მოტყიერის (კურტანიძე) ღვაწლი და თანადგომა. სწორედ მისი თანადგომით შეირჩნენ მასპინძლებად: ხათუნა ჯობაძის, თინათინ კურტანიძის, ფრიდონ გლუნჩაძის, ვეფხია ვეფხვაძის, ლევან შარიქაძის, მარო დეკანოსიძის, ვანო ბარბაქაძის, ნინო გრძელიშვილის, პეტრე ციცვიძის, ხათუნა ცხელიშვილის, მამუკა ლომიძის, ბახვა სამხარაძის სტუმართმოყვარეობით გამორჩეული ოჯახები. ოჯახების უფროსთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მუშაობის იდეალური გარემო შეუქმნეს შემოქმედ ადამიანებს.

როცა თეატრის ხელმძღვანელმა მათ სცენიდან უღრმესი მადლობა გადაუხადა, დარბაზიდან ხუმრობით გაისმა: მოვაწყოთ კონკურსი მასპინძლობაში, თუმცა დარბაზიდანვე პასუხმაც არ



დააყოვნა: -კონკრეტულად გამარჯვებული-პირველი ადგილის მფლობელი - ვერ გამოვლინდება, რადგან პირველი ადგილი ყველას კუთვნილებაა, ყველა ოჯახი იმერული მასპინძლობის ნამდვილი ეტალონია...

მხატვრებმა ამჯერადაც გაგვახარეს თავიანთი ნიჭიერებითა და ქველმოქმედებით. მათ 28 ფერწერული ნამუშევარი უსახსოვრეს სახალხო ლიტერატურული თეატრის პლენერ „გამას“ მუზეუმს.

აქვე ვიტყვით გადაუჭარბებლად, რომ არაერთი სამხატვრო გალერეა ინატრებდა იმ განძს, რომელიც შვიდი პლენერის შემდეგ ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის „გამას“ მუზეუმშია დავანებული და ელოდება უფრო ფართო სივრცეს შთამომავლობის ესთეტიკური გრძნობის გასაძლიერებლად, მათი სულის გასაფაქიზებლად...

განსაკუთრებით უნდა გავუსვა ხაზი თბილისის ოპერის ვარსკვლავის, მამუკა ლომიძის, ინიციატივას, ჭეშმარიტ პატრიოტიზმს. ბედნიერი იყო ხარაგაულის საზოგადოება, როცა აქვე, კინოთეატრში, უსმენდა ოპერის ვარსკვლავებს: მამუკა ლომიძეს, არმაზ დარაშვილს, ბადრი ადამიას, ხათუნა ჭოხონელიძეს, კომპოზიტორ მაყვალა ხორბალაძეს, საოპერო მომღერლებს: ბაია გრიგოლიას, ელიზა ხარაძეს.

გვახარებს, რომ ელიზა ხარაძე ჩვენი მიწის მკვიდრი და ხარაძეთა გვარის ღირსეული შთამომავალია. თავისი ნიჭიერებით, ფერწერული ნამუშევრებითა და საშემსრულებლო ხელოვნებით ის კვლავ ბევრჯერ გაახარებს თანამემამულეთა გულებს.

პროექტის ავტორმა იზა ვეფხვაძემ განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა ქველმოქმედი პიროვნებების-პაატა იოსებაშვილის, გელა ბუაჩიძის, ბაქარ დევდარიანის, ზურაბ გიორგაძის, ვახტანგ დვალის, პაატა ჭიპაშვილის-მიმართ, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ უმშვენიერესი ღონისძიების მაღალ დონეზე წარმართვაში.

***

წლევანდელი აპრილის ბოლო და მაისის პირველმა დღემ საამაყო ეპიზოდებით, სიყვარულითა და უსაზღვრო მადლიერებით გაამდიდრა ლიტერატურული თეატრის ღრმაშინაარსიანი ისტორია...

დასრულდა საზეიმო საღამო. ტრადიციულად დაეშვა სცენაზე აღმართული „გამას“ დროშა, შესრულდა „გამას“ ჰიმნი, სასურველი სტუმრები და კეთილი მასპინძლები ხვევნა-კოცნით ემშვიდობებიან ერთმანეთს იმ იმედით, რომ ღმერთი დაიფარავს თავის შვილებს, გაიმარჯვებენ მშვიდობისმოყვარე ძალები და, ერთი წლის შემდეგ, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს ამ ნიჭიერი პროექტით...

ინებოს უფალმა. ამინ!

მერი გიორგიძე

# ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ოცდაერთი საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს

2 მაისს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ა(ა) იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მოისმინეს და დადებითად შეაფასეს. საკითხი ამავე ა(ა) იპ-ის დირექტორმა, მამუკა ჭიპაშვილმა, წარმოადგინა და ვრცლად ისაუბრა იმ აქტივობების შესახებ, რომლებიც მათივე ჩართულობით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა. სხდომა ძირითადად კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და დეპუტატებს მათთვის საინტერესო საკითხებზე ამომწურავი პასუხები გაეცათ. როგორც მამუკა ჭიპაშვილმა განმარტა, ამჟერად ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 21 საბავშვო ბაღი და ერთი სასკოლო მზაობის ჯგუფი ფუნქციონირებს. მთლიანად გაერთიანებაში 540 აღსაზრდელი ირიცხება, რაც შეეხება თანამშრომლებს, მათი რაოდენობა 268-ს შეადგენს.

„ყველა საბავშვო ბაღში „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონის მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმები დაცულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილების საფუძველზე. ასევე დიდი ყურადღება ექცევა ჰიგიენურ ნორმებს, კვების ბლოკის აღჭურვილობის, პროდუქტების შენახვისა და სურსათის მომზადების მოთხოვნებს. ყოველწლიურად ხდება სასმელი წყლის ხარისხის შემოწმება და მონიტორინგი. 2021 წელს ძალაში შევიდა სურსათის უვნებლობის ახალ სტანდარტზე, ე.წ. „ჰასპის“ პროგრამაზე, გადასვლის აუცილებლობა. ხარაგაულის ბაღების გაერთიანებამ კი დროულად მოახდინა აღნიშნული



სტანდარტების დასანერგად საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები და შეძენილ იქნა ყველა საჭირო ინვენტარი, რაც პროგრამის სრულფასოვნად დასანერგად იყო საჭირო.

2024 წლის პირველ სექტემბრამდე, უნდა მოხდეს „აღმზრდელ-პედაგოგების“ სრულად გადამზადება. წლის ბოლომდე კი ვგეგმავთ, თექვსმეტი პირი ჩაერთოს სასწავლო კურსებში, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებული გვაქვს 5000 ლარი.“-განმარტა მამუკა ჭიპაშვილმა.

გაერთიანების დირექტორმა ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობის საკითხზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2012 წლიდან დღემდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 15 ახალი სკოლამდელი დაწესებულება შეემატა.

„2021 წელს უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი ბაღები აშენდა ვერტყვიჭალასა და საღანძილეში, რომლებზეც 1 440 000 ლარი დაიხარჯა და გათვლილია 50 აღსაზრდელზე. რაც შეეხება ინვენტარს, შეძენილ იქნა ახალი სარეცხი მანქანები, მაცივრები, ჭურჭელი და სხვა საჭირო ნივთები. საანგარიშო პერიოდში ხუთ ბაღს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რისთვისაც 10 000 ლარი დაიხარჯა. ამჟამად მიმდინარეობს ხუნევის სკოლამდელი დაწესებულების მშენებლობა, რომელიც „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში, 619 170 ათასი ლარით დაფინანსდა. ახალი ბაღი ექსპლუატაციაში, სავარაუდოდ, ახალი სასწავლო წლისთვის შევა. რაც შეეხება ინვენტარს, ბიუჯეტით გათვალისწინებული გვაქვს შესაბამისი თანხები და მშენებლობის დასრულებისთანავე მოხდება შეძენა.“-დასძინა ბ-ნმა მამუკამ.

მამუკა ჭიპაშვილმა ბაღებში არსებულ პრობლემებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ავტობანის მშენებლობამ ზოგიერთ ბაღს პრობლემები შეუქმნა.

„ავტობანის მშენებლობის გამო ხევის საბავშვო ბაღი დროებით განთავსებულია ნაქირავებ ფართში, რომელიც, სამწუხაროდ, სრულად ვერ აკმაყოფილებს საჭირო სტანდარტებს. ახლის ასაშენებლად გამოყოფილია ადგილი, თუმცა ჯერჯერობით მშენებლობა ჭიანურდება. ასევე გარკვეული პრობლემები შეექმნა ბორითის საბავშვო ბაღს და ეზოთი სარგებლობა თითქმის შეუძლებელია. ვფიქრობ, სამომავლოდ აქ ახალი ბაღის აშენება მოგვიწევს, ამაზე საუბრები მიმდინარეობს და საბოლოო გადაწყვეტილება უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი.

გარდა ამისა, ახალი ბაღის აშენების აუცილებლობაა სოფელ მარელისში. ამ საკითხზე აქტიურად მუშაობს ადგილობრივი ხელისუფლება. სოფელში ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის ჯგუფი, თუმცა კონტინგენტი საკმაოდ მზარდია.“-აცხადებს მამუკა ჭიპაშვილი.

ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ხარაგაულის „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ ბიუჯეტმა 2021 წელს 1 580 000 ლარი შეადგინა.

ვინაიდან სასწავლო პროცესი პანდემიის გამო მთელ საქართველოში პირველ მარტს განახლდა, თებერვლის თვეში 606 აღსაზრდელზე გაიცა ერთჯერადად საკვები პროდუქტები, რისთვისაც 18783 ლარი დაიხარჯა. 25192 ლარის პროდუქტი გაიცა ნოემბერშიც, ასევე საახალწლოდ ტკბილეული და საჩუქრები მიიღო ყველა აღსაზრდელმა.

ყოველწლიურად ხდება სათამაშოებისა და საბავშვო ლიტერატურის განახლება. 2021 -2022 წ.წ. ამ მიმართულებით 5 000 ლარამდე დაიხარჯა.

რაც შეეხება მიმდინარე წელს, გასულ წელთან შედარებით, 71 000 ლარით მეტი სუბსიდია მიიღო სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებამ და, საერთო ჯამში, 1 758 000 ლარი შეადგინა. გაზრდილი ბიუჯეტით მოხდა აღმზრდელ-პედაგოგთა სახელფასო ანაზღაურების მატება და ამჟამად სახელფასო ფონდი1 371 200 ლარს შეადგენს, კვებისთვის განსაზღვრულია 170 000 ლარი, კომუნალური ხარჯებისათვის კი-110 900 ლარი.

აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების აღმზრდელ-პედაგოგთა სახელფასო ანაზღაურება, იმერეთის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, მაღალია.

ეკა შავიძე

# კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელ გზაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. აღნიშნულ მონაკვეთზე გადაადგილება საფრთხის შემცველი გზის გარკვეული ნაწილის ჩავარდნის შემდეგ გახდა. პრობლემის დროულად აღმოფხვრის მიზნით, აქტიურად იმუშავა ხარაგაულის ადგილობრივმა ხელისუფლებამ. მერის, კობა ლურსმანაშვილისა და მაჟორიტარი დეპუტატის, პაატა კვიჟინაძის ერთობლივი ძალისხმევით, გზის აღდგენითი სამუშაოებისთვის მთავრობის გადაწყვეტილებით, სტიქიის ფონდიდან 750 ათასი ლარი გამოიყო.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ ხარაგაულის მერის მოადგილე დავით დევდარიანი და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი პეტრე შარიქაძე.

დავით დევდარიანის განმარტებით, ამ ეტაპზე კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელ მონაკვეთზე მოსახლეობა ალტერნატიული გზით სარგებლობს.

„რამდენიმე ხნის წინ დაზიანდა კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი გზა და გადაადგილების მხრივ პრობლემები შეიქმნა. ადგილობრივი ხელისუფლების ძალებით, მოეწყო



დროებითი, ალტერნატიული გზა. ახლა კი სტიქიის სალიკვიდაციო ფონდიდან მივიღეთ დაფინანსება და ხდება გზის კაპიტალური შეკეთება.“-აღნიშნა დავით დევდარიანმა.

კიცხი-ხიდრის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია ასრულებს, რომელიც, ხელშეკრულების პირობების თანახმად, სამ თვეში დასრულდება. პროექტის ფარგლებში 60 მეტრი სიგრძის რკინაბეტონის კედლის მოწყობა იგეგმება.

ეკა შავიძე

# დეპუტატებმა ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს

დასაწყისი ▶ 1 გვ.

დაფინანსდა შემდეგი მიმართულებით: ხარაგაული-საავადმყოფო-თეთრაწყარო-კიცხი -ფარცხნალი, ხარაგაული-ნადაბური-ხევი, ხარაგაული-საღანძილე-მოლითი. ამ ეტაპზე ტრანსპორტის მომსახურებაზე გაწეულია 4,2 ათასი ლარის სუბსიდია. კეთილმოწყობის ობიექტების რეაბილიტაციაზე დახარჯულია 60,0 ათასი ლარი, რომელიც დაბის ცენტრალური პარკის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მიიმართა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაზრდილია დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დაფინანსება, რომელიც 328,8 ლარს შეადგენს. 2021 წლის პირველ კვარტალში კი -237,0 ათასი ლარი გახლდათ.

ადგილობრივი ხელისუფლებისათვის პრიორიტეტია მომავალი თაობის აღზრდა-განათლება. სწორედ ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას და საანგარიშო პერიოდში ბაღების ფუნქციონირებაზე დახარჯულია 381,4 ათასი ლარი, ბაღების მშენებლობაზე- 123,8 ათასი ლარი, რომელიც ხუნევში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გამოიყო.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის გაიცა 213,9 5 ათასი ლარი.

განათლების დაფინანსებაზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, გასულ წელთან შედარებით, გაწეულია 129,6 ათასი ლარით მეტი ხარჯი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი - დახარჯულია 358,9 ათასი ლარი, აქედან სპორტის განვითარებაზე-108,3 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარებაზე -231,3 ათასი ლარი. აღნიშნულ მიმართულებას, გასულ წელთან შედარებით, მოხმარდა 70,2 ათასი ლარით მეტი.

ნამდვილად მნიშვნელოვანია, რომ ხარაგაულის მერიას მოსახლეობაზე მორგებული სოციალური პროგრამები აქვს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს გაიზარდა ამ პროგრამის დაფინანსება. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე დაიხარჯა 406,4 ათასი ლარი, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, თითქმის გაორმაგებულია. 2021 წელს დახარჯული იყო 215,5 ათასი ლარი, ხოლო 2022 წელს გაიცა 175,3 ათასი ლარი.“-დასძინა ვარლამ ჭიპაშვილმა.

საკრებულოს წევრებმა 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია ცნობად მიიღეს და ერთხმად აღნიშნეს, რომ პირველი კვარტლის მაჩვენებლები პოზიტიურია და შემდგომი პერიოდი გაცილებით უკეთესი იქნება.

ეკა შავიძე

# იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის საქმიანობა დადებითად შეფასდა

2 მაისს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის საქმიანობის ანგარიში მოისმინეს, რომელიც კომისიის თავმჯდომარემ, ოთარ ლურსმანაშვილმა, წარმოადგინა. ბ-ნმა ოთარმა ვრცლად ისაუბრა საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ და დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებსაც უპასუხა. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც კოლეგებთან ერთად შეიმუშავა. მისივე ინფორმაციით, კომისია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“,



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულების შესაბამისად. „საანგარიშო პერიოდში კომისიის თვრამეტი სხდომა ჩატარდა. აქედან თორმეტი მორიგი და ექვსი რიგგარეშე. სხდომებზე განვიხილეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის, ვიმსჯელეთ სოფელ ღორეშაში ცენტრალური გზისთვის სახელის მინიჭების თაობაზე. საკრებულოს გადაწყვეტილებით, აღნიშნულ ქუჩას, ამავე სოფლის მკვიდრის, აფხაზეთის ომის მონაწილის, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის კავალერის, გელა კაპანაძის, სახელი მიენიჭა. მხარი დავუჭირეთ, „ადგილობრივი მოსაკრებლის“ დადგენილებაში ცვლილების შეტანას, რომლის თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინდივიდუალური სახლის მშენებლობის მოსაკრებელი ერთ კვადრატულ მეტრზე განისაზღვრა ერთი ლარით, ხოლო კომერციული - ორი ლარით.

კომისია აქტიურად იყო ჩართული 2022 წლის ბიუჯეტის პროექტების განხილვასა და დამტკიცებაში. შევიმუშავეთ გარკვეული საბიუჯეტო შენიშვნები და წარვუდგინეთ მერიას. მხარი დავუჭირეთ მერიაში შესყიდვების სამსახურისა და საკრებულოში ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ შექმნის საკითხს. ასევე დადებითი დასკვნა გავეცით ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების შექმნის თაობაზე. პერიოდულად ვისმენთ მერიის სამსახურების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშებს და გავცემთ შესაბამის დასკვნებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დეპუტატების მხრიდან ადგილი არ ჰქონია გაცდენებსა და ქვორუმის არარსებობის გამო სხდომის ჩაშლას, რისთვისაც მადლობას ვუხდი თითოეულ წევრს“.-განმარტა ოთარ ლურსმანაშვილმა.

დასასრულს, კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ იგი აქტიურად მუშაობდა საკრებულოში შექმნილ დროებით კომისიებთან და ჩართულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მუშაობაში.

დეპუტატებმა იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის საქმიანობა დადებითად შეაფასეს.

თამარ მაღრაძე

# ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში დადებითად შეფასდა

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში დადებითად შეაფასეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა პეტრე შარიქაძემ წარადგინა. საანგარიშო პერიოდი 2020-2021 წლებს მოიცავდა და მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა ამ პერიოდში მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე.



„გასულ წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 5 269 395 ლარი გამოეყო, რომლის ფარგლებშიც 30 პროექტი დაფინანსდა და ძირითადი პრიორიტეტი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას მიენიჭა. რაც შეეხება შესრულებას, პროექტები გათვალისწინებულ ვადებში დასრულდა და გამოყოფილი თანხის 98, 06% ათვისებულია. ხარაგაული 2021 წელს, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მხრივ, საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი მოწინავე მუნიციპალიტეტია. ვფიქრობ, გამონაკლისი არც მიმდინარე წელი იქნება და მაქსიმალურად ვეცდებით, დროულად მოხდეს სამუშაოების დაწყება და დასრულება. 2022 წელს, რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, ხარაგაულში პირველ ეტაპზე 19 პროექტი განხორციელდება, რისთვისაც 2 775 762 ლარი დაიხარჯება. აქედან სამი პროექტი არის გარდამავალი, 16 კი ახალია. აღნიშნული ფონდიდან დამატებით თანხებს კვლავ ველოდებით, რაც ახალი პროექტების განხორციელების შესაძლებლობას მოგვცემს.“ - აღნიშნა მომხსენებელმა.

პეტრე შარიქაძემ შეწყვეტილ პროექტებზეც ისაუბრა და დასძინა, რომ 2021 წელს ხელშეკრულება შეუწყდა და შავ სიაში მოხვდა რამდენიმე კომპანია, რომლებიც გასულ წლებში ახორციელებდნენ პროექტებს და მათი დასრულება ვერ შეძლეს.

„ხელშეკრულება შეწყდა 10 პროექტზე, მოხდა დარჩენილი სამუშაოების გამიჯვნა და, ფასთა ცვლილების გამო, საჭირო გახდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 284 564 ლარის დამატება. აქედან 9 პროექტზე სამუშაოები უკვე დასრულებულია, ერთი კი, გართულებული მეტეოროლოგიური პირობების გამო, 20 ივნისამდე დასრულდება.

ასევე 2022 წელს ხელშეკრულება შეუწყდა შპს „ზუბას“, რომელსაც ვალდებულება ჰქონდა აღებული დაბის ჩიხების მოწყობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოების შესრულებაზე. მიმდინარეობს დარჩენილი სამუშაოების გამიჯვნა, ფასთა ცვლილების გამო კი საჭიროა პროექტის გადაფასება. რაც შეეხება მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდს, 2021 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ამ მიმართულებით 650 000 ლარი გამოეყო და მოხდება ზვარისა და გედსამანიის გზების რეაბილიტაცია“.

მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის თქმით, 2021 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 1 083 000 ლარი დაიხარჯა და, საერთო ჯამში, 148 პროექტი განხორციელდა. მათ შორის: გზების 62 პროექტი - 517 426 ლარი, გარე განათების 22 პროექტი - 164 331 ლარი, წყლის სისტემის რეაბილიტაციის 40 პროექტი – 222 325 ლარი და კიდევ სხვადასხვა კატეგორიის 24 პროექტი - 70178 ლარი. ამავე პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს ხარაგაულს 890 000 ლარი გამოეყო, ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი, თანადაფინანსების სახით, მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინიციატივით, 318 000 ლარი დაემატა. მოსახლეობის მიერ შეირჩა 188 საპროექტო იდეა, რომელთა განხორციელება წლის ბოლომდე დასრულდება.

პეტრე შარიქაძემ სხდომაზე ყურადღება მუნიციპალური განვითარებისა და სტიქიის ფონდებიდან დაფინანსებულ პროექტებზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ ყველა მათგანი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში დასრულდა.

„აქტიურად ვთანამშრომლობთ მუნიციპალური განვითარების ფონდთან. დასრულდა ღორეშა-ბაზალეთის დამაკავშირებელი 11- კმ-იანი გზის მონაკვეთის სამუშაოები. ასევე დასრულდა ვერტყვიჭალისა და საღანძილის საბავშვო ბაღების მშენებლობა, მარელისისა და ვერტყვიჭალის სკოლების რეაბილიტაცია და კიცხის საჯარო სკოლის მშენებლობა.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების შესასრულებლად 2021 წელს შესრულდა აქტიური სამუშაოები, რისთვისაც დაიხარჯა 1 200 000 ლარი და რვა პროექტი განხორციელდა.

მიმდინარე წელს სტიქიის ფონდიდან ხარაგაულს გამოეყო 750 000 ლარი, რომელიც მიიმართა კიცხიხიდრის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციოდ.“ - დასძინა სამსახურის უფროსმა.

როგორც ანგარიშში ვკითხულობთ, 2021 წლიდან დღემდე „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფონდიდან მუნიციპალიტეტში ოთხი პროექტი დაფინანსდა. ესენია: ე.წ „დევების“ ქანდაკებებისა და მიმდებარე სკვერის რეკონსტრუქცია (ღირებულება-264 999 ლარი), ხუნევის საბავშვო ბაღის მშენებლობა (ღირებულება-588 000 ლარი), მიროწმინდაში ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (ღირებულება-234 444 ლარი) და კულტურისა და დასვენების პარკის რეკონსტრუქცია (ღირებულება - 1 471 500 ლარი).

მნიშვნელოვანია, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად საკმაოდ სოლიდური თანხები იხარჯება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. 2021 წელს 193 ათასი ლარით დაფინანსდა სოფლის პროექტები, 284 564 ლარის თანადაფინანსება განხორციელდა რეგიონული განვითარების პროექტებზე. გარდა ამისა, 30 ათასი ლარი გამოიყო დაზიანებული გზების შეკეთებაზე, ასევე 50 505 ლარი მიიმართა ხიდ-ბოგირებისა და გარე განათებების მოწყობაზე.

მიმდინარე წელსაც ადგილობრივი ბიუჯეტის თანხები ძირითადად მობილიზებულია თანადაფინანსებაში. 318 000 ათასი ლარით დაფინანსდება სოფლის პროექტები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბაზში მდინარე ჩხერიმელაზე გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულება 38 328 ლარს შეადგენს.

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა სხდომაზე ხაზგასმით განმარტა, რომ სამსახურის თანამშრომლები, ინსპექტირების კომისიის წევრებთან ერთად, ინტენსიურ მონიტორინგს ახორციელებდნენ მიმდინარე სამუშაოებზე, ასევე ყოველ ხუთშაბათს ხდება შეხვედრა მშენებელ კომპანიებთან, რათა გამოირიცხოს ან დაუყოვნებლივ მოხდეს რაიმე ხარვეზის აღმოფხვრა.

ეკა შავიძე

# ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ბავშვთა მხარდაჭერა პრიორიტეტია



ხარაგაულის მერიაში ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება ერთი წელია, ფუნქციონირებს, და უფლებამოსილების ფარგლებში, თემატურ საქმიანობას ოთხი საშტატო კადრით წარმართავს. დადგენილი წესით, აქ დასაქმებული პირები უზრუნველყოფენ ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ მუნიციპალური პროგრამის შემუშავებას, მათი განხორციელების კოორდინაციას და შემდგომ, ამ პროცესების მონიტორინგსა და შეფასებას. გარდა ამისა, განყოფილების თანამშრომლები არასრულწლოვანთა ოჯახებში ვიზიტებსა და არსებული საჭიროებების ადგილზე გამოვლენას ახორციელებენ. უფრო დეტალურად გაწეული საქმიანობისა და არსებულ გამოწვევებზე, განყოფილების ხელმძღვანელი თეა ბერიძე გვესაუბრება.

- 2019 წელს საქართველოს პარლამენტმა ბავშვთა უფლებათა კოდექსი მიიღო, რის საფუძველზეც აუცილებელი გახდა, მუნიციპალიტეტებში ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება შექმნილიყო. ვფიქრობ, ხელისუფლების მხრიდან ეს სწორად და ზუსტად გათვლილი სტრატეგიული ნაბიჯია, რადგან არასრულწლოვანთა მხარდაჭერა აუცილებელი და საჭიროა.

რაც შეეხება ჩვენს საქმიანობას, მოგახსენებთ, რომ ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით, საქმის წარმოების დასაწყებად, არ არის აუცილებელი მომართვიანობა, ან რაიმე ოფიციალური საბუთი. ნებისმიერი ინფორმაცია, თუნდაც ანონიმური, ან ეჭვის დონეზე არსებული, შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურ შეტყობინებად და მოხდეს შესაბამისი რეაგირება. შევძელით და მერის წარმომადგენლების დახმარებით, გავაკეთეთ ბაზა, რამდენი ბავშვიანი ოჯახია მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რომელთაც ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარება სჭირდებათ. ამ ბაზის მიხედვით მუშაობა დაწყებული გვაქვს, ვახორციელებთ ვიზიტებს ოჯახებში და ადგილზე ხდება საჭიროებების გამოვლენა. თითოეული ვიზიტის შემდეგ, მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრები, პრობლემის შესახებ ვმსჯელობთ მერის პირველ მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილთან და ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროს ნანა კიკნაძესთან ერთად. ყოველივე ეს გვეხმარება, სამომავლოდ ასეთი ოჯახებისთვის გრძელვადიანი პროგრამები შევიმუშაოთ.

***-ოჯახში ვიზიტების დროს, ძირითადად, რა საჭიროებები იკვეთება და უფრო კონკრეტულად გვესაუბრეთ, შემდგომ რა ღონისძიებები ტარდება?***

-ნებისმიერი საჭიროება, რაც ვიზიტის დროს გამოიკვეთება, გვაქვს ვალდებულება, შესაძლებლობის ფარგლებში დავაკმაყოფილოთ. არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, მივიდეთ ოჯახში, ერთჯერადად დავეხმაროთ და ამით დავასრულოთ საქმე. ინდივიდუალური გეგმა დგება ყველა არასრულწლოვანზე, საჭიროების შემთხვევაში ერთვება ჯანდაცვის სპეციალისტი, ბავშვთა ფსიქოლოგი და ვაგრძელებთ მათთან კონსულტაციებს, ვაძლევთ მითითებებს, ვრთავთ მერიის სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებში. უპრეცედენტო მხარდაჭერა და ხელშეწყობა გვაქვს მერის, კობა ლურსმანაშვილის, მხრიდან. მასთან ყველა შეხვედრა ჩვენდამი უდიდესი თანადგომის გამოხატვით სრულდება და ნათლად იკვეთება, რომ მერიის ხელმძღვანელი პირებისთვის ბავშვთა მხარდაჭერა არის პრიორიტეტი.

***-რა საქმიანობას ეწევა სოციალური მუშაკი და როდის ერთვება საქმეში ბავშვთა ფსიქოლოგი?***

-სოცმუშაკს ყველაზე დიდი და საპასუხისმგებლო დატვირთვა აქვს განყოფილებაში. ოჯახში ვიზიტის დროს, ყველა არასრულწლოვანზე ავსებს სპეციალურ ფორმას, აკეთებს სიღრმისეულ კვლევას და ადგენს ინდივიდუალურ გეგმას, როგორ უნდა წარიმართოს შემდგომი პროცედურები. თითოეულ შეტყობინებაზე განყოფილების მულტიდისციპლინარული ჯგუფი მსჯელობს და იწერება დასკვნა. რაც შეეხება ფსიქოლოგს, ოჯახში ვიზიტის შემდეგ გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში ერთვება. არის შემთხვევები, როცა მხოლოდ კონსულტაციების ფორმატით შემოიფარგლება, თუმცა უმეტესად ისეთი სამუშაოა, ოჯახში რამდენჯერმე უწევს ვიზიტი. ასევე, ჩვენთან განყოფილებაში მოდიან ბავშვები, სადაც გვაქვს შესაბამისი რესურსი და მათთან ფსიქოლოგი ატარებს სხვადასხვა სახის სეანსს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში, არასრულწლოვანთა სხვადასხვა სახის უფლების დარღვევის არაერთი ფაქტი გამოიკვეთა, ეს ძალიან სენსიტიური შემთხვევებია. ჩვენ ვიცავთ კონფიდენციალურობას და დიდი სიფრთხილით ვმუშაობთ ასეთ შემთხვევებზე. ძალიან ბევრი სტიგმაა საზოგადოებაში და, სამწუხაროდ, ჯერ ისევ სტერეოტიპების საუკუნეში ვცხოვრობთ. არსებული რეალობა კი ბავშვებთან ურთიერთობებში არცთუ ისე სახარბიელოა და დიდი სამუშაოებია ამ კუთხით ჩასატარებელი.

***-როგორც ვიცი, განყოფილების თანამშრომლები პერიოდულად გადიან სხვადასხვა სასწავლო კურსს. უფრო დეტალურად გვესაუბრეთ ამის შესახებ.***

-გვყავს სერტიფიცირებული სოცმუშაკი (45-კრედიტიანი), რომელმაც წარმატებით გაიარა მუნიციპალური გადამზადების კურსი, დაიცვა სასერტიფიკატო ნაშრომი და მიიღო უმაღლესი შეფასება. ერთი წელია, ასევე არაერთ თემაზე გავდივართ ტრენინგებს, რომლებიც საქართველოს პარლამენტის ეგიდით, პერიოდულად ტარდება. ეს ძალიან სასარგებლო და საჭირო ტრენინგები იყო ჩვენთვის და მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩართული იყო ამ პროცესებში. მიუხედავად იმისა, რომ გადამზადების კურსი ერთწლიანი იყო, მათთან ურთიერთობა გრძელდება და, კონკრეტული პრობლემების შემთხვევაში, გვექნება კომუნიკაცია.

***-რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?***

-სულ ახლახან გადავიდა განყოფილება ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურში. აქედან გამომდინარე, სამსახურის უფროსთან ერთად დავსახეთ სამომავლო გეგმები, გავწერეთ სამოქმედო გეგმა. მალე დავიწყებთ საინფორმაციო შეხვედრებს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან, რადგან, პირველ რიგში, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, სერიოზული სამუშაოა. ვფიქრობთ, მოვაწყოთ შეხვედრა სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან და მოვახდინოთ ინფორმირება, რა მიზანს ემსახურება ახალი სტრუქტურული ერთეული და ბავშვთა ინტერესების დასაცავად რა დიდი მნიშვნელობა აქვს კოორდინირებულ მუშაობას, ასევე უწყებათაშორის ეფექტურ კომუნიკაციას.

უნდა გავააქტიუროთ თანამშრომლობა კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ჩვენ გვქონდა ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა ხარაგაულის საკრებულოს თავმჯდომარესთან და საკრებულოს წევრებთან. მათ გამოთქვეს მზადყოფნა, კომპეტენციის ფარგლებში, თანამონაწილეობა მიიღონ ყველა იმ საკითხში, რაც ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას დაეხმარება სრულყოფილ და შედეგზე ორიენტირებულ საქმიანობაში.

გავაგრძელებთ არასრულწოვანთა ოჯახებში ვიზიტებს, მერის წარმომადგენლების ჩართულობით, ვცდილობთ, მოვახდინოთ ბავშვთა უფლებების დარღვევის კუთხით არსებული შემთხვევების იდენტიფიცირება. როცა ბავშვთა უფლებებზე ვსაუბრობთ, აქ არ იგულისხმება მარტო ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა, მომავალ თაობებზე საკმაოდ მძიმედ აისახება ასევე, განათლების უფლების დარღვევა, სრულყოფილ გარემოში ცხოვრების უფლების დარღვევა და ა.შ.

თუ სწორად და ზუსტად დავგეგმავთ ბავშვთა უფლებების დაცვაზე და მათ კეთილდღეობაზე მორგებულ პროგრამებსა და აქტივობებს, დაახლოებით 10-15 წელიწადში მივიღებთ სულ სხვა სოციუმს, სადაც ადამიანები შეძლებენ მშვიდობიან თანაცხოვრებას და საკუთარი ბედნიერების მოპოვებისაკენ სწრაფვას.

ეკა შავიძე

# სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის პროგრამა იწყება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა იწყება.

პროგრამის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო მიწაზე სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრა 1ჰა -ზე 300 ლარით. სუბსიდიას მიიღებენ 0.25 ჰა-დან - 1.25 ჰა-ს ჩათვლით მიწის მესაკუთრეები/თანამესაკუთრეები.

პროგრამის ბიუჯეტი 35 მილიონ ლარს შეადგენს და 300 000-მდე ფერმერი ისარგებლებს.

ბენეფიციარებს სუბსიდია სპეციალურ აგრობარათებზე ქულების სახით დაერიცხებათ, რომლის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო საქონლის შესასყიდად შეეძლებათ.

პროგრამის დამტკიცების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ქვეყანაში სასოფლო - სამეურნეო სამუშაოების დროული და ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა, წარმოებისთვის საჭირო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და აგრარული სამუშაოების მიმართულებით აქტივობის სტიმულირება.

სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა დადებით გავლენას მოახდენს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე.

# სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარება 150 ლარამდე გაიზრდება

სოციალურად დაუცველი ბავშვების მიზნობრივი დახმარება მიმდინარე წლის ივნისიდან 150 ლარამდე, 2023 წლის იანვრიდან კი 200 ლარამდე გაიზრდება, - ამის შესახებ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

ზურაბ აზარაშვილის განმარტებით, მომდევნო წლიდან, ჯამურად, სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ნახევარ მილიარდ ლარზე მეტი გამოიყოფა.

აღნიშნული ფულადი დანამატის მიმღები არის 16 წლამდე სოციალურად დაუცველი ბავშვი, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, 2021 წელს სოციალურად დაუცველ ბავშვებს დახმარება 50-დან 100 ლარამდე გაეზარდათ.

დახმარება ეტაპობრივად იზრდება და 220 ათასამდე ბავშვს შეეხება.

## მიროწმინდაში უძველეს ტაძართან არსებული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად 255 906 ლარი გამოიყო

„საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში, სოფელ მიროწმინდაში ეკლესიასთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციოდ 255 906 ლარი გამოიყო. აღნიშნული საბიუჯეტო ცვლილების შესახებ დეპუტატებმა საკრებულოს სხდომაზე იმსჯელეს, რომელიც მათ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა გააცნო. აქვე გეტყვით, რომ სოფელ მიროწმინდაში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი VI საუკუნით თარიღდება. ტაძარს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ დაცული ძეგლის სტატუსი მიანიჭა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით რეაბილიტირდა.



ასევე საბიუჯეტო ცვლილება ეხებოდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებას. ხარაგაულის მერის, კობა ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, აღნიშნულ პროგრამაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებით 318 000 ლარი მიიმართა და, საერთო ჯამში, 188 პროექტი განხორციელდება.

გარდა ამისა, დამატებითი სუბსიდია მიიღეს ა(ა) იპ-ებმა. 12 000 ლარი გადაეცა „კულტურისა და ხელოვნების ცენტრს“, რომელიც საჭიროა ცნობილი დრამატურგის, მწერლისა და, საზოგადო მოღვაწის, კიტა ბუაჩიძის ბიუსტისათვის.

მეწყერისა და სხვა სტიქიური მოვლენებით დაზიანებული გზების გასაწმენდად, 20 000 ლარით გაიზარდა „კეთილმოწყობისა და დასუფთავების“ დაფინანსება. ასევე 10 000 ლარი მიიღო „სპორტისა და ტურიზმის ცენტრმა“, რომელიც, თავისუფალი ჭიდაობის სექტორის გაძლიერების მიზნით მოწვეული კონსულტანტების შრომის ანაზღაურებისათვის დაიხარჯება.

საბოლოოდ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 255 906 ლარით გაიზარდა და განისაზღვრა 16 461 338 ლარით. რაც შეეხება გადასახდელებს, გაიზარდა 420 906 ლარით და განისაზღვრა 19 713 306 ლარით.

ეკა შავიძე

## სპექტაკლ „იმერული რეკვიემის“ ჩვენება თბილისში გაიმართა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი თბილისის საზოგადოების წინაშე სპექტაკლ „იმერული რეკვიემით" წარდგა. აღსანიშნავია, რომ დასმა მოწვევა პიესის ავტორისა და ცნობილი დრამატურგის, რეზო კლდიაშვილისგან მიიღო და მაყურებლის დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

თამამად შეიძლება ითქვას, თეატრმა დიდი სიხარული განაცდევინა დამსწრე საზოგადოებას. მსახიობები გამოირჩეოდნენ მაღალი პროფესიული ოსტატობით და მაქსიმალურად დახვეწილად ასრულებდნენ როლებს. სწორედ ამის შედეგი იყო ის შეფასება, რომელიც აუდიტორიამ სპექტაკლის დასრულების შემდეგ გააკეთა.



„ვფიქრობ, ყველამ ერთად უნდა ვიამაყოთ ხარაგაულის თეატრით. ეს ადამიანები ნამდვილად პროფესიონალები არიან. როდესაც სპექტაკლს ვუყურებ, ძნელად ვიჯერებ, რომ ეს ყველაფერი მე დავწერე და შევქმენი. სასცენო სახეები არის ძალიან საინტერესო და შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, რომ ხარაგაული „იმერულ რეკვიემს“ გამორჩეულად თამაშობს. მადლობა მუნიციპალიტეტის მერს, ბ-ნ კობა ლურსმანაშვილს, თეატრის გვერდით დგომისთვის, დასს კი- პროფესიონალური შესრულებისათვის.“-აღნიშნა რეზო კლდიაშვილმა.

ღონისძიებას ესწრებოდა ხარაგაულის მერი კობა ლურსმანაშვილი, რომელმაც საიუბილეო თარიღი მიულოცა მასპინძელ უნივერსიტეტს და თეატრის მიმართ მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოხატა.

„ვფიქრობ, ის ნიჭიერება, რომელიც ხარაგაულს აქვს, დღეს სრულად გამოვლინდა. მინდა, წარმატებები ვუსურვო დასის თითოეულ წევრს. ადგილობრივი ხელისუფლება მზადაა, მაქსიმალურად ხელი შეუწყოს თეატრს, რომელსაც 120 წლის ისტორია აქვს. მიხარია, რომ მუნიციპალიტეტი მდიდარია თავისი დიდი კულტურით და ტრადიციები კვლავ გრძელდება“, -აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

ამავე დღეს საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ორგანიზატორმა, ნუგზარ ბუცხრიკიძემ, ირინე ჩხეიძე დასთან ერთად ორ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მიიწვია, რომელიც მალტასა და ანტალიაში ზაფხულში გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ სპექტაკლი საქველმოქმედო გახლდათ და შემოსული თანხა უკრაინის დახმარების ფონდში გადაირიცხა.

თამარ მაღრაძე

## პრეზენტაცია იზა ვეფხვაძის წიგნისა „ბილიკი უფლისკენ“



ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში (დირექტორი ლალი ალექსიძე) მოეწყო პრეზენტაცია წიგნისა „ბილიკი უფლისკენ“.

წიგნი ეძღვნება მამა მათეს (გია ბუაჩიძე) ამქვეყნიურ ყოფას, იმ განუზომელ სითბო-სიყვარულსა და სიკეთეს, რაც თანამდევი იყო მისი არსებობისა.

ავტორმა მამა მათეს გარდაცვალებიდან ორმოც დღეში, თავდადებული შრომის ფასად, შეძლო წიგნის შექმნა-გამოცემა, რომლითაც საზოგადოებამ უფრო ახლოს გაიცნო ამ უკეთილშობილესი პიროვნების საერო და სასულიერო ცხოვრება.

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მამა მათე (გია ბუაჩიძე) ავტორია მშვენიერი ლექსებისა, საკუთარ და სხვათა ლექსებზე შექმნილი მუსიკისა. ის გამორჩეულად უკრავდა სხვადასხვა ინსტრუმენტზე.

ამ მშვენიერ წიგნში, რომელიც საჩუქრად მიიღო დამსწრე საზოგადოებამ, ახლობელთა, მეზობელ-მეგობართა თუ სასულიერო პირთა მიერ დიდი სიყვარულითაა წარმოჩენილი ბერმონაზონ მამა მათესთან ურთიერთობის ეპიზოდები.

პრეზენტაციაზე მამა მათეს ნაადრევი გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილს ახლდა რწმენა იმისა, რომ მამა მათე კვლავ დიდხანს იცოცხლებს თავისი მრევლისა და ყველა იმ ადამიანის ხსოვნაში, რომლისთვისაც უმთავრესია მოყვასის სიყვარული, რადგან სიყვარულია თავად ღმერთი ამ ქვეყანაზე.

საღამოზე ასევე შესრულდა ანსამბლ „ხარაგაულის ხმების“ მიერ მამა მათეს ლექსებზე შექმნილი სიმღერები, რომელთა მუსიკის ავტორი ქალბატონი დალი მერაბიშვილი გახლავთ.

ეკა შავიძე

## ხარაგაულელმა ნანუკა მეტრეველმა ვარშავის საერთაშორისო ტურნირზე ტანვარჯიშში პირველი ადგილი მოიპოვა



FIG-ის ეგიდით, ვარშავაში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ტანვარჯიშში, რომელშიც საქართველოდან ორი გოგონა მონაწილეობდა. მათგან ერთი ხარაგაულელი ნანუკა მეტრეველია, რომელმაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და პირველი ადგილის მფლობელი გახდა. ნანუკა ოქროს მედლითა და მრავალჭიდში გამარჯვებულის A კატეგორიის პრიზით დაჯილდოვდა.

წარმატებული გოგონა ჯერ მხოლოდ რვა წლისაა. სწავლობს თბილისის 126-ე საჯარო სკოლის მეორე კლასში. ტანვარჯიშის ილეთებს ნანუკა კლუბ „პირველებში“ 2019 წლის სექტემბრიდან ეუფლება. 2021 წელს გოგონა იმ ათ საუკეთესო ტანმოვარჯიშეთა შორისაა, რომელთა წრთვნას აღნიშნული სპორტული კლუბი აფინანსებს. 2021 წლის ივნისში მონაწილეობა მიიღო ქალაქ ოდესაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. ამჯერად მისი წარმატება მეორე ადგილითა და ვერცხლის მედლით აღინიშნა. 2021 წლის დეკემბერში იმავე ქალაქში განსაკუთრებული სიხარული განიცადა-კვლავ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობით ორი ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ძალიან გვახარებს ჩვენი პატარა თანამემამულის ესოდენ დიდი წარმატება და გვწამს, რომ ნანუკა მეტრეველი კვლავ მრავალჯერ გაგვახარებს.

ვულოცავთ გამარჯვებას საამაყო გოგონას და ვუერთდებით იმ დიდ სიხარულს, რასაც განიცდის ხარაგაულის რესურსცენტრის თანამშრომელი ქალბატონი ნანა ხიჯაკაძე-მეტრეველი თანამოსახელე შვილიშვილის წარმატებებით.

ეკა შავიძე

## კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაციის მიზნით, ტენდერი გამოცხადდა

დაბა ხარაგაულში კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაციის მიზნით, ტენდერი გამოცხადდა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ხარაგაულის მერმა კობა ლურსმანაშვილმა მოგვაწოდა. როგორც ბ-ნმა კობამ განმარტა, პროექტი „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში 1 471 500 ლარით დაფინანსდა. რაც შეეხება წინასაპროექტო სამუშაოებს, ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, შპს „პროჯექტ კომპანიმ“ განახორციელა.

მოგახსენებთ, რომ ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს. საპროექტო სამუშაოები ითვალისწინებს: საბავშვო ატრაქციონების, საფეხმავლო ბილიკების, გარე განათებების, ასევე სხვადასხვა ტიპის სპორტულ, კულტურულ და რეკრეაციული სივრცის მოწყობას. გარდა ამისა, პარკის მთელ ტერიტორიაზე ჩატარდება გამწვანებითი სამუშაოები და აშენდება მცირე ზომის კაფე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დამონტაჟდება ვიდეოკამერები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ვანდალიზმის ფაქტები.

## საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ორგანიზებით ჰიპერტენზიის საერთაშორისო დღე აღინიშნა

ჰიპერტენზიის საერთაშორისო დღეს ხარაგაულის ჯანდაცვის ცენტრი შეუერთდა. აქციის ფარგლებში ცენტრის წარმომადგენლებმა ა(ა) იპ „სათნოების სახლის“ ბენეფიციარებსა და ბაღების გაერთიანების თანამშრომლებს წნევა გაუზომეს და კონსულტაცია გაუწიეს, თუ რა არის ჰიპერტენზია და როგორ უნდა ვუმკურნალოთ მას.

ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ალექსანდრე ტაბატაძე მიიჩნევს, რომ მსგავსი საქველმოქმედო აქციები მოსახლეობისთვის ძალზე მნიშვნელოვანია და აქვე დასძენს, რომ ასეთი აქტივობები შემდგომში უფრო ფართო მასშტაბით დაიგეგმება.

„ თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ჩვენი საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტია. შევეცდებით, მომავალშიც დაავადების ადრეული გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, სამსახურის ორგანიზებით სხვადასხვა სამედიცინო აქციები დაიგეგმოს“.-აღნიშნა სამსახურის უფროსმა.

შეგახსენებთ, რომ ჰიპერტენზიის საერთაშორისო დღე ყოველწლიურად, მაისის თვეში, აღინიშნება და მისი მიზანია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება არტერიული ჰიპერტენზიის პრევენციისა და რეგულარული მკურნალობის სასარგებლო შედეგის შესახებ.

ეკა შავიძე

## გზა-პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით გაკვალული

### (პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ გიორგი (ჟორა) კურტანიძის ნათელ ხსოვნას)

მიმდინარე წლის 25 სექტემბრისათვის მისი ღირსეული ცხოვრების საიუბილეო 90 წელთან შესახვედრად ემზადებოდა ოჯახი, მეგობარ-ახლობელი, ხარაგაულის საზოგადოება... ძალზე სამწუხაროა, რომ ამ თარიღამდე რამდენიმე თვით ადრე მარადიული ცხოვრების ბინადარი გახდა ღირსეული ქართველი, ხარაგაულის საზოგადოების ერთ-ერთი გამორჩეული წევრი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ბატონი გიორგი (ჟორა) კურტანიძე.



გიორგი (ჟორა) კურტანიძის ამქვეყნიური ყოფა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს პიროვნება თავის ქვეყანას, თავის ხალხს, იმ საზოგადოებას, რომლის წიაღშიც განვლო საპასუხისმგებლო გზა უმცროსი ლეიტენანტიდან ვიცე-პოლკოვნიკამდე.

გიორგი (ჟორა) კურტანიძე 1932 წლის 25 სექტემბერს დაიბადა სოფელ ზარანში, შრომითა და პატიოსნებით ცნობილ მრავალშვილიან ოჯახში. სწავლისადმი დიდი ინტერესით დაამთავრა ჯერ საღანძილის რვაწლიანი სკოლა, ხოლო შემდეგ ხარაგაულის ვაჟთა პირველი სკოლა (დღევანდელი სასულიერო გიმნაზია). სავალდებულო სამხედრო სამსახური გაიარა გერმანიის ქალაქ ვისმარში. 1960 წელს წარმატებით ამთავრებს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის სპეციალურ საშუალო სკოლას, ხოლო 1974 წელს -თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

პროფესიული ზრდა-წარმატებითა და დიდი შინაგანი პასუხისმგებლობით იყო დატვირთული გიორგი (ჟორა) კურტანიძის მოღვაწეობის ყოველი წელი: მუშაობდა კიცხის უბნის ინსპექტორად, ხარაგაულის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში ოპერატიული სამსახურის უფროს ინსპექტორად, პოლიციის უფროსის მოადგილედ.

1985-1988 წლებში იყო საჩხერის რაიონის პოლიციის უფროსი, ხოლო 1988-1994 წლებში-ხარაგაულის რაიონის პოლიციის უფროსი. 1990-1991 წლებში აქტიურად ჩაერთო ცხინვალის რეგიონში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში.

დამსახურებულ პენსიაზე გავიდა 1994 წელს, რომლის შემდეგაც 1999 წლამდე ხელმძღვანელობდა ხარაგაულის რაიალმასკომთან არსებულ იურიდიულ სამსახურს.

მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებითა და პროფესიონალიზმით გიორგი (ჟორა) კურტანიძემ გამორჩეული ხელწერა დატოვა ყველგან, სადაც კი იღვაწა.

შსს ორგანოებში მისი თავდადებული შრომა აღინიშნა უამრავი მედლით, ორდენით, დიპლომით, მადლობითა და ფულადი ჯილდოთი. არის ღირსების ორდენის კავალერი.

გიორგი (ჟორა) კურტანიძის ცხოვრება ჭეშმარიტი გარანტია იმისა, რომ იგი დიდხანს იცოცხლებს ხარაგაულის საზოგადოებისა და შთამომავალთა ხსოვნაში.

***ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია;***
***ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო.***

სამძიმარი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საზოგადოების თვალსაჩინო წევრი, წლების განმავლობაში ხარაგაულის მოსამართლე და შემდგომ ნოტარიუსი, დამსახურებული ქალბატონი

კლარა (ცაცა) გუდაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სამძიმარი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ხარაგაულის სპორტული ცხოვრების ერთ-ერთი ცნობილი წევრი, მესამე საჯარო სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის წარმატებული პედაგოგი

გოჩა ბუაჩიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**გამომცემელი** ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
**დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ: 595-51-98-12**